

საქართველოს საბჭოთაო
 კავშირების
 ცენტრის

საქართველოს
 კავშირების

თეატრი სსრკ-ში


სათეატრო სალიტერ. ურნა II

1918 წ. — № 3 კვირა, იანვრის 28

ფასი 50 კაპ.

წელიწადი შეეძება გამოცემისა

931
 6085-5809



ბაკაძე
 გარდაცვალ. პ. წ. შესრულების გამო.



ნიკანო ჯაფარიანი
 სიბძნისმეტყველების ფაკულტ. დეკანი.

რედაქციის
 უნივერსიტეტის რექტორი.



საქართველოს განთავისუფლების საქმის

საქართველოს თვითაზროვნებას და სულიერ განთავისუფლებას საძირკველი ჩაეყარა. იანვრის 24 გაიღო ქართულ უნივერსიტეტის კარები. ამერიიდან ყოველს საქართველს შეუძლია თავის სამშობლოშივე მიიღოს უმაღლესი განათლება. ჭეშმარიტად ეს დღე ისტორიულ დღედ ჩაითვლება. 117 წლის განმავლობაში შექმრებული ჩვენ მშობლივი განათლების კერა კვლავ იწყებს ბრწყინვას განახლებულ ძალებით. მან უნდა მოგვანიჭოს გონებრივ სულიერი სიმაღლე საკუთარი თავის რწმენა, სამშობლო ქვეყნის და მსოფლიოს სიყვარული.

გზა! გზა ფართო ჩვენის ნატურის ერთ გამოხატულებათაგანს!

მის საღამო ჩვენის გაახლების ტაძარს, საღამო მის მესვეურ დამფუძნებელთ, საღამო ჩვენს მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს და მის დანამტკიცებელს, რომელთაც საძირკველი ჩაუყარა ამ ტაძარს!

მთელი ქართველობის ვაღია ყოველის ღონისძიებით გაამკვიდროს ქართული უნივერსიტეტის კედლები, რომ მასში ვინაა უკუნის უკუნისამდე დვიოდეს ცეცხლ-უქრობელი ქართლოაიანთა გათოშილ გულის გასითბობად.

თავისუფლებისათვის ბრძოლა

ხმა უდაბნოშია, ხომ გაგიგონიათ: წინასწარმეტყველი ჰქადაგებდა, შეუგნებელ ბრბოს კი მისი ცეცხლოვანი სიტყვა გულს ვერა სწვავდა.

ყრუ იყო განუვითარებელი, ბნელ-ჩაფლული, წყვილიადმოცულა ბრბო და გულისყური დახშული ჰქონდა: სიტყვა ესმოდა აზრი კი ვერა!

სწორედ ასეთს მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი ხალხის ერთს მცირე ნაწილს თუ მხოლოდ გაუკუღმართებულ გეგმით ასწავლიდენ, მეორეს მუდმივ სიბნელეში ამყოფებდენ და მხოლოდ უცხო კერბებს ალოცებდენ... ამან ჩაუხშო ხალხს საკუთარ თავის რწმენა, საზოგადოებრივ-მამულიშვილური მისწრაფება...


რუსის ჯარში მსახურებში ყველა სოფლის შვილთა ერთი ნაწილი თუ გამოჩორკნა, დიდი ნაწილი ნამდვილ რუსულ-საღდათურ სულით გაჟღინთა.

მიმოიხედეთ ჩვენს დაბა-სოფლებსა და ქალაქებში, რასა სჩადიან ჩვენი სოფლის თავზე ხელ აღებული შვილები! და უმთავრესად კი იმიტომ, რომ კულტურულად ჩამორჩენილები ვართ, ხალხს ხშირად ტყუილი მართლისგან ვერ გაურჩევია, თეთრი შავსგან!

ჩვენი ჟურნალ გაზეთობა უმთავრესად პოლიტიკურ საკითხებთანა გატაცებული ხალხის ვითომდა „შეგნებული“ ნაწილია ამა თუ იმ პარტიის მიმდევარი, პოლიტიკანობით და ჩვენი სამშობლოს დიდი ნაწილი კი — ამყოლს ასდევს, დამყოლს დასდევს, საკუთარ გარკვეულ რწმენა უქონელი!..

და რთდესაც ასე ბნელა სოფლად, თ თქმის არსად კულტურული მუშაობა არაა გაჩაღებული: ზოგან ფორმის გულისათვის თუ აქვთ წიგნთ — საცავ — სამკითხველო დაარსებული, რომელსაც მკითხველი არა ჰყავს. ან ვინ წაიკითხავს, რომ სოფელმა კითხვა არ იცის, ზოგან სკოლა აქვთ მასწავლებელს მშვიერს კლავენ, ზოგან ვითომ წარმოდგენას მართვენ ისიც არა ხალხის კულტურულად აღსაზრდელად, არამედ — თავის შესაქცევად. რგვლივ ბნელა!..

დღევანდელი განაცდელი ყველა მამულიშვილს, ყველა დემოკრატს, ხალხის ყველა ერთგულ შვილს ავალებს, დაბა — სოფლად მოაწყოს უპარტიო საგანმანათლებლო წრეები, გახსნას სამკითხველოები, შეადგინოს სცენის მოყვარეთა დასი, მართოს წარმოდგენებ, სახალხო კითხვები და ხალხს სისტემატიურად უკითხოს გონების განმავითარებელი და ზნეობის გამფაქიზებელი ნაწარმოებნი: აქპარტიული ჟინიანობა, ურთიერთისგან განკერძოება უარყოფილ უნდა იქმნას და ყველა ჩვენთაგანი უნდა ცდილობდეს უპირველეს ყოვლისა კაცი აღამადლოს, გაადამიანოს!..



თ ა რ ი

მწყვარს თარი, გულსაკლავად მკენესარი,
მწუხარების უკუმყრელი ეს არი:
სიმები რა დაიწყებს უღრასა,
სული შფოთავს, გული შეიქმს ძვერასა.
აკაკი

თარი აღმოსავლეთური საკრავია. მის სამშობლოთ აღერბეიჯანი უნდა ჩაითვალოს. ამიტომ კავკასიის ზოგიერთ ერთა შორის ეს სამუსიკო ახალი გავრცელებულია.

ჩვენ აქ მის აღწერას არ შეუდგებოთ, რადგან იგი ჩვენი საზოგადოებისთვის კარგათ ცნობილია, მხოლოდ ადენიშნავთ იმას, რომ მისი მთავარი განსხვავება ევროპული საკრავთან გამოიხატება დათვრამის მნიშვნელობაში. თუ ევროპული საკრავის სიმთა უღერა რეზონანსით ვითარდება, თარის და სხვა უკვდა აღმოსავლეთურ საკრავების. ასეთივე უღერა დათვრამის საშუალებით ვითარდება. ეს განსხვავება ტენიკურად თვალსაზრისით შეტად სხუურადდება. გრამაფონის შემბრარე დათვრამის პრინციპზე აკრული და ამიტომ იგი შეტად საუცხოო და ორიგინალური საკრავია. გრამაფონში რეზონანსი (ტრუბა) ანვითარებს დათვრამის ანუ შემბრარეს შექმნილ ატომისფერის ტალღათა ნახას და მთავანებას სინამდვილეთ გადმოკერემს. აი დირება დათვრამისა.

ასეთსავე დათვრამის ჩვენ ვხედავთ თარის შემადგენლობის ნაწილზე, რომელსედაც არის რაბუჭილი სიმების გადასწიარა. თვით ჯორასა და დათვრამის ქვეშ მო-

მწეველეთა ჰერე, რომელიც თავის დრეკურებით ისე აქანავებს დათვრამის, რომ ჩვენ ვიღებთ სიმთა უღერას მთავანების მრავალი ფერებით. ამიტომ იტყვიან ხოლმე: თარი ღამარჩობ და არა უკრავსო. აი დირსება დათვრამის და აღმოსავლეთის მუსიკისა.

თუ დღეს ევროპული უსიკა დაწინაურებულა, ეს იმიტომ რომ იგი ტენიკურად უადრესათ განვითარებულია და მისი დამტველი და შედაკებული ევროპის კულტურისანი არია. მისი განვითარების საფუძველი რეზონანსია. აღმოსავლეთის საკრავები კი განვითარების პარველ საფეხურს განიცდის და რადგან მისი შექმნელა ვრი ჩამოჩენილია კულტურულად, მითომ ჯერ-ჯერობით იგი არ არის განვითარებული. თუ ევროპული საკრავები რეზონანსის მხერსებულა მოწეობილებით თვალსაჩინო ავავს იტერენ ხელფენებაში, რა იქნება მთავალში აღმოსავლეთის საკრავები, რომელთაც დათვრამის საფუძველზე მათ დამატებათ რეზონანსის ტენიკური მხერსებულა მოწეობილება? რა თქმა უნდა, იგი ისეთივე ორიგინალური და მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ასეთივე შეერთებული დათვრამა-რეზონანსი გრამაფონისა. მხოლოდ ეს იქნება მიღწეული მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ნაციონალური კულტურა უადრესათ განვითარდება თვისი შემოქმედებით. დღეს-კი იგი თუ ჩამოჩენილია შიანინო ფორტეპიანოს ჩემის რწმენით სამაგიეროთ სჯობიან გატარა-მანდოლინას რომლის ხმის ერთ-ფეროვანება ჩქარა მოსაწეონი სდება ხელფანისთვისაც, თარი, ტინური და სხვა-კი ასეთ ერთ-ფეროვან ხმას მოკლტეზულია, რადგან დათვრამის იმდენათ გრძნობიარება, რომ ქაერი გაფლენას ახდენს და ეს კი მოქმედობს ხმის ტონის ცვალებადობაზედ. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ გადაგვარებულთ, რომელნიც გვიჩვენებენ რომ ხსენებული აღმოსავლეთის საკრავები ჩვენ არავის ჩავაბარათ. შირ-იქით: ჩვენ ურჩევთ მოეკარულე ასაღვანდობას დირვანს მამა-ხამური გემოვნება ხსენებული მუსიკით, რომლის განვითარება ჩვენ მოგვეტემს ვრთხულ თავისებურებას და გადაგვარების გან თავდაცვის ტრადიციას.

მუშა მიხ. დვავაძე





მსახიობი პ. ფრანგიშვილი

ავედმყოფობის მიზნებით სამხედრო სასახურიდან დათმობილი სამის თვით.

ყველა ერთი მიზნისკენ!

ამბობენ, ძველად ბერძენთა სატახტო ქალაქს გარედან მტერი რომ მოადგა, შიგნით, იმის მაგიერ რომ ყველა შეთანხმებულიყო და მტერს წინ აღსდგოდა ბრძენნი ერთმანეთში კამათობდნენ: კვერცხი ადრე გაჩნდა თუ ქათამიო.

ამასობაში მტერმა ქალაქი აიღო, ბრძენთა-კი მაინც ვერ გაიკვლიეს—კვერცხი ადრე გაჩნდა თუ ქათამი სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სინამდვილე.

დიდი რუსეთი დაირღვა, რუსეთში იძულებით მომწყვდელთა ერებმა თავის კერას მიხედეს—საკუთარ ქვეყნის მართველობის საქმე ხელთ იგდეს ჩვენ-კი იმ კვერცხისა და ქათმის ახდაზას ვუტრიალებთ ირგვლივ: აცა ჩვენი პარტიული ღოზუნგები არ დაეზრდილოთ ერთსა და იმავე ადგილს ვსტკვნით—გვგონია წინ მივალთ და სიტყვათა კორიანტელში ვკარგავთ დროსა!..

და ასე—საკუთარ პარტიულ ღოზუნგებით აღტურვილნი—ერთმანეთს არაფერში ვერწმუნებით...

ჩვენს ქვეყანას-კი საფრთხე თან და თან ჰფლობს არევი და რევოლუციონერული, შიგნით ბნელ ძალთ თარეში, გარედან მტრის შემოსევის შიში... არსად კანონი, არსად სამართალი, რომელსაც ყველა პატივსაცემდეს და ემორჩილებოდეს... ყველა თავისებურად მოსამართლეობს და... ხალხი ჰკენეს, ხალხი გმინავს. ყველა ამას ბოლო უნდა მიეცეს...

რევოლიუციონერ ხანის ამდენიხნის ნაყენაყენ ღამის უქმედ დასამარდეს, ღამის დიდი რევოლიუციის დიდი მცნებანი საქმედ ვერ ვაქციოდ ყველას საბედნიეროდ...

დროა ჩვენც—სხვათა მსგავსად მსგავსად მსგავსად მართალი მმართველ-პატრონი შევიქნეთ, საქართველომ თავის თვითარსებობა თავისუფლება გამოაცხადოს, და საკუთარი ძალ-ღონით გაუძღვეს საკუთარ ცხოვრებას. ამას-კი შესძლებს, როგორც არა ერთხელ თქმულა, საქართველოს დამფუძნებელ კრების დროით შეკრება, რომელიც ქვეყანას გაუჩინეს კანონს, სამართალს და პატრონს.

ნუ თუ ჩვენც იმ დროს უნდა ვუცადოთ, როცა ვეღარც საქართველოს დამფუძნებელი კრების შეკრება შეგვეძლება—ან შევკრებთ და გაგვიფანტავენ?...

საქართველო უნდა აღსდგეს სრულის თვისის უფლება-მოსილებით და თანასწორი ძმა შეიქნეს ყველ ერთს! და ყველა ეს მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა ერთი მიზნისაკენ მივმართავთ ყოველ ჩვენს ძალღონეს: მრავალ ღმერთის მაგიერ ერთს ღმერთს-სამშობლოს ვიწამებთ. ვიდრე საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს, უკვე შემდგარმა საქართველოთა ჯარმა უნდა გამოიჩინოს დიდი მოქალაქეობა და მამულიშვილობა, დაიცვას წესიერება და მცხოვრებნი ყოველ მო, სალოდნელ ხიფათისგან. სამშობლო, დემოკრატიის მომავალი და რევოლიუციის გამარჯვება საშიშ მდგომარეობაშია.

დროა ჩვენმა გავლენიანმა პარტიებმა პარტიულ გავლენიან მოღვაწეთაგან შეადგინონ შეთანხმებული კომისიები. ყველა პარტიების მოწინააღმდეგეობით მოვლონ საქართველოს მთავარი დაბა-ქალაქ-სოფლები და ხალხს მოუწოდონ შეთანხმებულ მუშაობისკენ, ყველა ცოცხალი ძალები საქმეში ჩააბან პარტიულობის განურჩევლად და ხალხს აცნობონ, რომ ჩვენს დედაქალაქში უკვე მოხდა პარტიათა შეთანხმება, საჭიროა ასევე მოხდეს დაბა ქალაქად, რომ ამიერიდგან საქართველო ერთია და ერთი მიზნისაკენ მიისწრაფის: შექმნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა...

მოქალაქენო, საქართველოს ერთგულნიო შეილნო სოფლის მუშა მშრომელნო, ჩვენი სამშობლო უდიდეს განსაცდელშია. ის გეძახით საშველად. ნუ თუ დედის მოწოდებას ყურად არ იღებთ.

ნიღვარი წალეკვას გვიპირებს და ნუ თუ საერთო ძალღონით არ ვეცდებით საფრთხის თავიდან აცილებას!..

იოსებ იმედაშვილი.

* * *

უჰ, რა რიგ ბნელა, სად არის მთვარე?! ღამის გუშავი, ის მოვლევარე?!

ახ, შეხეთ მაღლა, შავი ღრუბელი გადაჰლობია, მისთვის არს ბნელი...

ჰე, ღრუბელთ გუნდი, ჩამოეცალა, განათლდა ირგვლივ, ჩვენშია ძალა!..

ერეკლე ყანჩელი.



ქალის ბაბუხარი...

(ელენე ბ—დან)

დიდის ტანჯვითა ძლივს გაგშორდი ძლივს გაგეყარე...

წყევლა კრულვითა გადვივიწყე შენი სახელი,

ვაბეტყველე ჩემი ბაგე, ბაგე მდუმარე,

ლივს მღვიწმინდე მე თვალთაგან ცრემლები მწველი...

შენ კვლავ მომდევდი, მათრახებით მემუქრებოდი,

ემ დასამონაჲ არ იცოდი რა მოგეგონა;

ის იდეალებს, ჩემს მიზანსა მარად ჟამს ჰგმობდი,

ჩე უფალი შენ იყავი მე შენი მონა...

ე ვისწრაფოდი ზეცისაკენ, სიწმინდის ქვეყნად,

თავს განებებდი ამ კრულს მაცდურს წუთისოფელსა,

შენ მიწის შვილი ვნებით სავსე ბრყვად, უხეზად

ფეხქვეშ სთელავდი ჩემსა ხატსა, ჩემს სანატრელსა.

ოჰ! მაგრამ არა, მეყო, კმარა, არ შემეძლიან

კვლავ ბორკილების ჩ არაჩხური და ზიდვა ჯვარის,

დე, დავიღუბო შეუგნებელ ბრყვთ უდაბნოში,

რომ აღარ ვიქცე შენს მონადა, მონად მზაკვარის.

დე, დავიღუბო მარტოდ მარტო, უსიყვარულოდ,

რაკი რომა ვარ ჩემი თავის მეფე, უფალი,

ოჰ! რომ ცოდე რა სიხარულს განიცდი ოდეს

სიცოცხლეშიც და საფლავშიც ხარ თავისუფალი..

აღ. ნეკრელი

სახალხო მუშაკ-მწერალი



ვარდენ გიორგიშვილი ყიფიანი

(30 წ. სამწიგნობრო და სახალხო მუშაკობის გამო)

არიან მუშაკნი, რომელნიც სხვა და სხვა გარემოების გამო ფრთებს ფართოდ ვერა შლის, მაგრამ ყოველ ჟამს სამშობლო ქვეყნის დაწინაურებას და ხალხის გათვითცნობიერებას შესტრფიან.

ერთი მათგანია ვარდენ ყიფიანი—ღვანკითელი, ვარდენი—რკინის გზის მოსამსახურეთა მხრით სიტყვის მთქმელი დამსახურებულ მოღვაწის იუბილე-

ისე, თუ გამოჩენილ მიცვალებულზე, ვარდენი—რკინის გზის მოსამსახურეთა შორის ქართულ წიგნებისა და ჟურნალების მომფენი, მამულიშვილურ—ხალხოსნურ იდეების გამაგრებელი, ვარდენი—სამშობლოსა და მის მოღვაწეთა მეზობლე, ვითარცა დამტირებელი და შემაქები. განსვენებულ დიმატრი ყიფიანის გერაგულათ მოკვლის—1887 წ. დროიდან არა ყოფილა ცოტად თუ ბევრად საზეიმო ანუ საპგლოვირო თვალსაჩინო შემთხვევა, რომ ვარდენს მონაწილეობა არ მიეღოს.

პირველი ლექსი „ქართველი დედის ნანინა“ დაბეჭდა გ. წერეთლის კვალში 1893 წ. და მას შემდეგ დრო გამოშვებით ათავსებდა სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებში ანუ ალმანახ კალენდრებში ლექსებს, შარადებს, ექსპრომტებს, დამაკვირდებს და სხ.

ვარდენს სხვა და სხვა დროს დაბეჭდილ გამოქვეყნებულ ლექსებს გარდა, ბევრი დაუბეჭდავი ნაწარმოები აქვს, სხვათა შორის, სამ მოქმედებიანი დრამა „დავით ბატონიშვილი“ პიესაში გამოყვანილია ის დავით ბატონიშვილი, რომელიც რუსებმა მოკლეს სოფელ ღვანკითში. ვარდენი შუახნის კაცია (დაიბადა 1869 წ.) და ჯერაც ბეჯითად განაგრძობს ქართული მწერლობისა და მამულიშვილურ ხალხოსნურ იდეათა გავრცელებას. ვუსურვოთ მხნეობა. ი. ა—ი





ს მ ნ ე. მ. ი

რა საამოა, როცა გული სევდას სცილდება,
 რა რომაძულებს მეოცნებებს იისფერ ფიქრებს?
 მიუყვებ-მოუყვები ისე, როგორც მშობელი შვილებს,
 ვიდრე ჩემი დღეც მაყვლის ფერად დაიჩრდილება.

მახსოვს: მეწვია და გადმომცა ვარდ-ყვავილები.
 როგორ ვუმაღლ ამ მშვენიერს, ნობათის მომტანს:
 ორი ნაწნავი ემსიანად ეყარა ნორჩ ტანს,
 ცრემლის გუბებში ბანაობდენ მთვრალი თვალები.


გზას მიღობავდა მარმარილოს თეთრი მკლავებით,
 ჩემსკენ იწევდა აღგზნებული ალური ვნებით...
 ბედნიერებას მპირდებოდენ ტრფობის წუთები..

და მეც დავიწვი მოციმციმე სატრფოს თვალებით,
 ვით ბაღჩის ვარდი არაბეთის მზის ბრწყინვალეებით
 როს საკოცნელად მომხიბლავის თრთოდენ ტუჩები...

ქნ. რი




ანასტასია [ტახო] ალმა. მარჯალისა გარდაცვალებიდან 6 თვ. შესრულების გამო




მ3. სოლ, აზნაზავა

მიმდინარე ომში ავსტრიის საზღვარზე მრავალგზის დაჯილდოებული. ოთხჯერ დაჭრილი. ამ რავედნიმე კვირის წინად თავის რაზმით თბილის ჩამოვიდა. იანვრის პირველს რიცხვებში ჯავშნიან მატარებლით გაემგზავრა შამქორს, სადაც ეშელანთა იარაღის აყრის დროს მოჰკლეს იანვრის 10. მის მოკვლის შემდეგ თათრები დაერივნენ მომავალ ეშლონებს და მრავალი (1050) მოკლეს.



გვ. ჩარკვიანი თავის თანამშრომლები [მისი კვლ. კალენდრის გამოც. 30 წ. შეს. გამოც. 1, პატრი რაფიელ ნებიერიძე, 2, მაკარ ჩიმუკიანი—სომხურ კალენდრის შემდგენელი, 3, ახუნდი მაჰმედ-ჰასან მოგლა-ზადე, 4, ებრაელთა სახამი მონათლაშვილი, 5, გრიგოლ ჩარკვიანი.



ქუთაისის დრამატულ დასის მსახიობთა ჯგუფი

რომელიც დრამ. საზ-ის დასს ჩამოშორდა, რადგან ქუთაისის დრამ. საზ-ბამ არ შეიწყნარა მსახიობთა კავშირის დადგეილება. ამ დასს განუზრახავს იმოგზაუროს წარმოდგენების გასამართავად. აქ არიან: შ. ლამბაშიძე, ა. ლოლუა, ა. ჩხეიძე, დ. ძნელაძე, ი. ბარველი, შ. ჯაფარიძე, მ. გელოვანი, ა. კავთელი, გ. ფრონისპირელი, ზ. გომელაური.

ქორწილი

გაგრძელ. ის. „თ. ტ.“ — № 2

მარიამ (შორიდან, სმა-იღუმჯიფით)

არა, არა,
ცრემლი კმარა,—
მოჰფრენს შენი შევარდენი,
რომ დაგისხნას,
ბედი გახსნას
და გიჩვენოს აწ სხვა დღენი! *)

4

ნათელა და მარიამი

ნათელა

შენ ხარ ჩემო კუდრაქა,
კეთილ სულად ხმობილო!..
მწუხარებით ხეამვექმნილვარ,
ჩემო სულა—დობილო!
რწმენა გამიორქოფდა:
მჯერა კიდევ, არც მჯერა:
ვაჰ, თუ უკუ მიიქცეს
ჩემი ყოფნის სვე—წერა!

მარიამი (გაივისვისებს)

ღრმა სიყვარულს თან ახლავს,
მუდამ ექვიანობა:

ვინცა ვისსა გულსა ჰფლობს,
მის არსებაც ემყნობა...
ყური მიგდევ მოგიტხრობ
ანბავს ძველსა ზღაპრულსა,
თუ ვითარის წადილით
მიჯნურობა ჰფლობს გულსა:
მთვარემან მზე შეიყვარა,
მზემან სხივნი მიაყარა,
ერთუროს სდევენ სალაღობოდ
ორივე ერთუროს მიეფარა,—
სიყვარული კი აქვთ დიდი,
ზესკენელ-ქვესკენელ განაკიდი
თუ ერთს დაჰშობ, მეორესაც
დღე მოგლის არა დიდი...
მთვარეს შუკი, სხივოსნება
მხოლოდ მზისგან ეფინება;
წყაროს წყალი მომჩქეფარე
სათავიდან ეღინება,
ხე თვის გვარსა ენამყნება,
ჩიტა—ბუდეს ეტანება
რა ვინდ იყოს მზე მწველ-ცხარე,
წვეთი ნაგუბს ექანება.
ფუტკარს სკაში ელხინება,
ყაქის ქიას ეფინება
თვისგან ქმნილი გარს საშარე,—
ეს ბუნების არის ნება,—

*) ეს ვრთი ცაეპი წინა ნომერში შეცდომით წავიდა, მიტომ აქ ვიმეორებთ.



საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო კულტურის
საინჟინერო-ტექნიკური
საინჟინერო-ტექნიკური
საინჟინერო-ტექნიკური

და რათ ფიქრობ: ბუნების რტოს
რო მიჯნური დაგტოვს მარტოს?
ვიცი მაგის სურვილ-ნება,
შენია და შენთვის ბნდება!
რა გინდ ბევრიც ასეა მწარე-
მითაც შენ არ გაგშორდება...
მო, მუშებთან მიგალხინო,
დასთჳე ფიქრი გულ-საწყინო!..
(ბადისკენ გაიფლიან

5

სიღონია და არამ (ლაპარაკით შემოდინან)
სიღონია მობრძანდი, არამ ხუნდიანც,
აქვე ვსთქვათ ჩვენი სათქმელი,
მიხვევ-მოხვევა არ მიყვარს,
ღმერთია ამის მსაჯველი,
პატარა იყავ, მამაშანს
გირაოდ მივეც მამული,
თუმც იყო უცხო ტომისა,
ოჯახის გახდა ის გული.
ბევრჯერ თუ ფულს ვერ ვაძლევდ, -
ნათავნს ვაკეციდი თავნხედა,
ბლომად წაიღო ჩემგანა, -
აღალი იყო მასზედ!
ვცხოვრობდით მეგობრულადა,
ქეიფითა და ლხინითა,
მამულს „ტორგში“ არ უშვებდა
უფულობით ან ენითა! (ხამოსხდ.)
ისეგ შე ვიყავ ბატონი
მამულის შემოსავლისა,
მოსავალს ხელს არ მიხლებდა,
ფიქრი არ მქონდა ხელსა.
შენ კი რა მოვდის, არამო?
მითქვამს და ვიტყვი კიდევ:
ვინც ვალს გაღიხდის ვადაზე,
ის ერთი-ორად იძლევა.
მგც ერთი საქმის კაცი ვარ,
ღღეს ვცოცხლობ, ხვალე მოგვედები
თუ ერთ საქმეს ვარ მოვრჩები,
მეორეზე ვერ დავსდგები!
კარგა ხანია ვითმინე ..
ვიყავი ზულამ ტუბილადა,
ახლა ან ფული მომეცით,
ანუ მიმიღეთ შევილადა!..
(რუს-გენერალი მობარკით შემოგა
და სქთან ბატონებს მოფარკობათ)

სიღონია
არამ
სიღონია
არამ

შვილი არა ხარ, მანა ხარ?
ჩემი შეიქნეს ნათელი.
ეს რომ ვერ მოხდეს, არა ქნას?
მით გათავდება სუყველა:
სამჯერ დაპკრავენ ჩაქუჩხა.
სხვა ვერვინ შემეცილებო,
კანონიერად ღაპრჩება,
ველარ მოხდება ცვლილება.

6

იგინიფე და რუს-გენერალი
რუს-გენერალი (წინ წამოდგება, გადმოსძისებს)
სწორედ მე შეგსცილებდი.
ჩემი რძალია ნათელი.
ეყო მის დედულ-მამულსა,
რაც სომხის ფეხმა გათელი!
მე ჩემი ფული მომეცით,
და სხვას დავეცებ არსა!
რუს-გენერ. ფულს არა, შავ ქვას მისცემენ
შენებრივ წარა-მარასა!
სიღონია ვაჰ, ჩემო დიღო ოჯახო,
გაბრუნვენ როგოყც ჯარსა!..
არამ რისათვის მლანძღავ ბატონო,
თქვენი რა მმართვებს ბევარა?...
რუს-გენერ. გეყო, რაც ობოლ-ობრისა
მამული საქმლად გებარა!
არამ ყველა ყველ-სა ნეტავი,
რას მედავები შორიდან?
რუს-გენ. შიარეულიო: შენ ჰბედავ,
გადმოთრეულო ცხრა მაიღანს!
ჩვენა ვართ ერთი სჯულისა,
შენა ხარ გრიგორიანი,
ჩემგან მ-ს ჰქონდა დაფარვა,
შენგან კი მხოლოდ ზიანი!..
სიღონია არ მომწონს ჩემსა ოჯახში
გამართოთ აყ-ლ-მაცალი!..
არამო, ახლავ ვიკითხავ,
ვნახოთ რას იტყვის თვით ქალი.
(რუს-გენერალს მელაგში ხელს გაუყრის და გაღიან)
არამ (თვალს გადავუნებს დატინვით და ჯიბრით)
გაქრეს ჩემი ბიჭობა,
თუ მაჯობოთ წონახე, -
დადექ რუსო მყვირალო,
ვერ ახტები ზომახე!..
ქართველის ქვეც ავწონე:
ვინ ისა და დავთარი, -

მეორედ მოსვლა

დასს. კ. დ. 1917 წ. 42-45 1918 წ. 1-2

ლუარ აბა, ძმაო, ხომ ხედავ შენც, მაგათთან საცოცხლე აღარ მაქვს. ხან ერთი მოდის, ხან მეორე, ყველანი რაღაცას მპირდებიან, თანაც მიჯავრდებიან.

გაბო რას აკეთებთ ამ ოხერ ქალაქში? წამობრძანდით ხოფლად, იქ არავინ არ გაწყენინებთ. იქ არ გეყოლებით ჩვენა? წავიდეთ ბატონო, წავიდეთ, სოფელს რა სჯობიან ცხლა. აი მეც ვაპირებ წასვლას

ლუარ შენ პირს შექარი. აღრე გეთქვა მიინც! ბიჭო ალექსი!

ალექ რას მბრძანებ ბატონო?

ლუარ წადი ჩემი ბარგი-ბარხანა მოამზადე, სოფელში გადავწყვიტე წასვლა.

ალექ აღრევე გეთქვა დალოცვილო, არ ჯობდა განა?

ლუარ ჩქარა, ნუ მაგვიანებ. (ალექსა მიდის) შენ უყურე, გაბო, თუ ძველი მთავრობა დაბრუნდა, ყველაზე მეტი მე მომხდდება. ამ ათი წლის წინად მახსოვს რევოლიუკია რომ იყო ჩვენი მიტრას ბიჭი რომ დახვრიტეს? აბა ეს რა რევოლიუციონერი იყო შენი კირიმე პრაპაგანდისტება ვამალა და მარტო იმისთვის დახვრიტეს, და მე რამდენ პარტიაში ჩამწერეს. ვინ არა ვარ ეხლა: ნაცრის-დემოკრატიო, თებერვალისტიო, ცოციალაო, რა ვიცი, მაშინ მაშინ ხომ ხუთჯერ უნდა ჩამოკიდონ სახრხობელაზედ. დმერთმა ნუ ქნას, ის ოხერი დაბრუნდეს. ალექსას შემოაქვს ბარგი.

დარჯე შემოდის ქა! ტავარიშჩ ლოარსაბ, სად მიბრძანდებით, არ შეიძლება გაუიგოთ?

ლუარ მერე გაიგება, ბივში კნენინა დარეჯან! შენ ხომ არ მიწყევხარ. დარჩი და მე წავალ მარტოკა.

დარჯე ქა! მე რომ მტოვეფ, ფული არ მიინდა? ცოლშვილს რომ მოეკიდე, რას ჰფიქრობდი?

ლუარ ათი, თუმანი! სხვა რა ჩემი ფეხები გინდა? მომშორდი რადა. გაიტა ბიჭო ბარგი. მატარეგელზე არ დაგვიანდეთ. თუ მოგშივდა დმრეჯაი, სოფელში იკადრე ჩამოსვლა.

დაარჯე აი შე კონტრა-რევოლიცენირო.

თუმანს რო მაძლევ, მე თითო თუმანს უწინავე საზოგადოებას. დამიტოვე მეტი.

ლუარ დარეჯან! შენ ნულა მისიფე გულს შვილეთი ხომ აქა გყავს და გიპატრონონ. თორემ თუ არ მომშორდები, ამ ხანჯალს ხომ უყურებ. მე ეხლა ბოლშევიკი ვარ.

დარჯე უი, მოგიკვდეს თავი ჰა? მეხი კი დაგაყრე. მიკადე სანამ სოფელში მოგივიდე! იფ! ქლაქში არა სჯობიან, შენისთანა ბებრუტუნასთან ყოფნა, მიდის

ლუარ პანაშვიდი არ ვადვიხადო შენმამზემ დარდი მომკლავს!

აღნქ ბატონო, ვილაც ფაფარიანიო და ისეთი მგუზერო ჰკილია, დაშნაკ ცუტუნი ვარო, შემოსვლა უნდა.

ლუარ დაკარგე იქათ, ეგ ცუტუნა ვილაცა! გაბო ერ. ჰა ეგენილა გვაკლდნენ! თავის ხალხს რა ხერი დააყარეს, რომ ჩვენ გვეჩინებინ. დაიკარგეთქო!

ალექ მაგნაირი ქათინაურები რომ უთხრა ხომ მთხლიშა მაუხერი...

ლუარ შენ გეუბნევიან უთხარიო, თორემ ის ცუტუნი ვილაცა, ამ ხანჯალს დავსცემ მუცელში.

შემოდის მენშევიკი, ბოლშევიკი, ნაციონალ დემოკრატი, და ფედერალისტა.

ფედერალი გაკვირებს. მიდიხართ? მერე არჩვენები?

ლუარ განაგძობს ბარგის შეკვრას დიხ გეახლებით, არჩვენებიც თქვენთვის დამილონია და ქალაქი

შენშ მაშ ტოვეფ პროლეტარს?

ნაც-დემ ტოვეფ დამონებულ სამშობლოს?

ფედ ტოვეფ მიწის მუშას?

ბოლ კადეფ ბურჟუაჰკენ - იწევი შე ნიკოლოზის კურთხეულო?

გაბო დაანებეთ ხალხნო თავი, ძლაზე ხომ არ არის? იქნება არ სურს არჩვენებში მონაწილეობის მიღება.

შენშ მაშ ჩვენ პარტიაში რად ჩაეწერა?

ფედ ჩვენშიაც!

ნაც-დემ მეც ჩაეწერე!

ბოლ ჩამოსახლობია ეგ ხელიგანი. თურმე ყველას გვასულელებდა... რას ვაგიშეფ, ჩვენს პარტიას უნდა ჩაუგო კენჭი და მერე გინდა ჯანდაბას წასულხარ!

111

სხვები თავ თავისკენ შათრევენ ჯუარსაბს.
არც ჩვენ გაუშვებთ!
ბაღში უუვირის დანარჩენებს. გაუშვით თქვენ უვე-
ლანი ბურჭუები ხართ.

შენშ თქვენკი შავ-რაზმეღებზე უარესნი
ხართ, ერთი ხმა რისთვის დავკარგოთ, რას გა-
უშვებ! სწევს თავისკენ.

ნატ-დეი ხე ი მაშულიშვილს! იგი ჩვენია.

ჯუარ ვაიმე მიშველეთ, გამზლიჩს შუაზე,
გაბო, ბიკო ალექსი. . კაბო და ადექსა ფეხე-
ბში დაფლებნ სეფს და კარებისკენ წევენ. სხვები
კი თავ-თავისკენ ჯუარსაბა შეუბრაფებლად უვირას.

ადექ არც ეხლა გაუშვებთ, ანარქისტია
იგი, ანარქისტი!

უვეჯანი სცემეთ მაგ მატყუარა! კაბო და
ადექსი როგორც იქნა გამოვლევენ ჯუარსაბს და
გარბიან. პარტიის ხალხს კი დახუდი ჩოსა
და ქუდი რჩებათ და ერთმანეთში დიდი ჩხუბი მო-
სდით.

ფარდა

სვ. წერეთელი

შ ა რ ა ღ ა

ქორონიკონით დასწერეთ
ჯერ ხუთი, მირე ცხრაასი,—
თუ იცით, არ დავკირდებთ
აქ ბევრი სჯა და ბაასი
შემდეგ გვკირდება ხსენება
მეხუთე თვის სახელისა,—
ხუთ ანბანისგან შემდგარი,
ვარდ-ყვავილების მშლელისა;
თავიდან ამის ორ ანბანს
თუ გვთავაზებთ ნებითა,
თქვენს გულ უხვობას სუყველგან
მოვიხსენიებ ქებითა.


კიდევ ერთნიარ წყლის ცხოვლის
ვენ მოგვინდება ხსენება,
რო მის მკამელი ბევრია,
ეს ყველას მოგხსენება.

შუა გასქერით, პირველი
შარადის ბოლო ძირია
მით გამოგვივა ისეთი
ჩვენში ცნობილი პირია

ფიც თვის მგესლავ ენითა
კბენს და მათარას სცემს ყველასა;
და თუ კი წუნი უბოვნა,
რავის აძლევს შველსსა.

ა

გ. ყიფიანი



ზაქარია ხახუტის ძე ნეფარიძე

ზაქარია ნეფარიძე ერთი იმ ჩუმ პატიოსან ქველ-
მოქმედთაგანია, რომელიც ჰყოფს საქმესა კეთილსა ისე,
რომ „მარჯვენამან მისმან არ იცის რასა იქმს მარცხენა
შვილი, შორაპნის მაზრის სოფ. შუქრუთისა მიწის მე-
შისა ხახუტა ნეფარიძისა, ზაქარია ყმაწვილობითვე აღზრ-
დილი მიწის მუშის მძიმე უღლის ქვეშ, მთლად გაიყ-
ლინთა თვის ტვირთ მძიმე თანამომძმეთა სიყვარულით
და ამ ჟამად თვის პატარა სამშობლო სოფელ შუქრუთს
მიუწყო თავისი „ტალანტის“ ნაყოფი და არ ჩამალა
ეს „ტალანტი“ მიწაში სახარების უძღებ მონის მსგავსად
ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას გადასცა
1500 მან. ს. შუქრუთში სახალხო წიგნთ - საცავ - სამ
კითხველს დასაარსებლად; გარდა ამისა 1000მან. აღუ-
თქვა სკოლის პირველ საძირკვლის ჩაყრისათანავე.
ზაქარია კარგა ხანია რაც თბილისში გადმოხალდა, და
ჩვენი საზოგადოებრივ მაჯის ცემასაც დიდ ყურადღებებს
აქცევს. სხვათა შორის გამოეხმაურა მუსიკალურ დარგის
ჩუმ მოღვაწეს დავით კუჭიძეს, რომელსაც მრავალი
გამოსაცემი მასალა აქვს საეკლესიო დას აეროვნო საგა-
ლობლებისა ხალხში შეკრებილი და საკმაო თანხა გა-
დასდო ამ მუსიკალურ ნომრების გამოსაცემად მგალო-
ბელთა გუნდისათვის. ნეფარიძე ამ ჟამად 60 წლამდეა
მიღწეული, მხნედ გროძობს თავს, მზადაა თვისი ძალ-
ლონე და სარჩო-საბადებელი ჩვენს საზოგადო დაწესებუ-
ლებათა გაფურჩქვნას მოახმაროს.

დ. პ.





წიგნი

წიგნი ქალთა დღესასწაულია, და თუ მას წიგნი ეროვნული სარჩული ედებოდა, ეს უმთავრესად ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობით აიხსნებოდა, როგორც გარუხებულ სკოლას ისე უფლება აყრილ ეკლესიას ერ გვარი საბუთი ეძლეოდათ ეროვნულ დღედ გამოცხადებინათ 14 იანვარი. ესლა ამ დღემ დაჰკარგა ამ მხრივ თავისი მნიშვნელობა, ვაგრამ ეს-კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ როგორც 14 იანვარი, ისე 1 მაისი ამოირიცხოს ქართველ ერის ისტორიიდან, პირიქით თავისუფალმა საქართველომ უფრო დიდებულათ უნდა მოგონოს თავისი წარსული და ასევე სცეს პატივე მათ მოგონებას.

წინედ წიგნი თელავში გამოიხატებოდა უმთავრესათ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დღესასწაულით როდესაც ქართულ ნაწილს სულ მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი, რადგანაც მაშინდელი მთავრობა, არა თუ ეროვნულ, არამედ საერთოდ დღია შინაარსსასტიკ კანტროლს ქვეშ ატარებდა, მაგრამ მადლობა დმერთს მოგვშორდა ძველი მთავრობა და მის მაგიერ ახლად არჩეული საზოგადო და მშობელთა წრის წარმომადგენლები განაგებენ სასწავლებელს და როგორც თავისუფალ სასწავლებელში აღარაფერი დაფრკოლება აღარ უნდა ყოფილიყო...

ჩვენ სულ სხვანაირათ მოველოდით, რომ საგანგებოთ იქნებოდა ეს დღე ჩატარებული მოსწავლეთა მიერ, მასწავლებელთა მეოხებით და მშობელთა წრის დახმარებით, მაგრამ ამათ სრული უმოქმედობა გამოიჩინეს და არაფრით აღუნიშნავთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სალამოთი მოწაფეები პიანინოზე აცეკვავეს...

ისევ ჩვენმა ქართველმა ქალებმა, ან როგორც აფიშაში იყო გამოცხადებული, ქალთა საზოგადოებამ (რომელიც არ არსებობს) იღღესასწაულეს წიგნი, ქალ. საკრებულო დარბაზში სალამოს გამართვით,

სალამოს გამგეთ შრომა და ენერჯია არ დაეზოგნათ, რომ უკეთესად მოეწყობთ თუცა უფრო გარეგნობისთვის მიექციათ ყურადღება ფარდაგებით, და ხალიჩებით მშვენიერად მორთული ოთახები და თავდახურული ქართულ კაბებში გამოწყობილი ქალების ტრიალი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

შინაარსი არ შეეფერებოდა გარეგნულ სილამაზეს ცოცხალი სურათი წმ. ნინო და ქართველი ქალები ვერ გავიგეთ რას წარმოადგენდა ეს სურათი, რომ არ დაედგათ და არ შეაწუხებინათ არც წიგნი და არც ქართველი ქალი, ბეგრათ უკეთესი იქნებოდა, სიამოვნე-

ბის მაგიერ მწარ-ნადველი გამოიწერა. **მეცხადველი** ცოცხალი სურათებივე „ლალი“ სულგინი და რუქაია და ზენაბი მონალოგებით. როცა დეკორაცია, ტანისამოსი და გრიმი ხელს არ უწყობთ, არც უნდა მოეკიდნათ ასეთ საქმისთვის ხელი, თორემ რუქაიას როლში პირველად სცენაზე ქალის გამოყვანამ და დედობლის მაგიერ სოფლის პატარძლის ტანისამოსში გამოსვლამ ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე...

სალამო გამოაკეთა რ. ერისთავის პიესამ „ჯგერ დახობცენ მერე იქორწილეს“ მონაწილეობას იღებდნენ საგანგებოთ მოწვეული ჩვენი მსახიობნი ვლ. ჩერქეზიშვილი და დ. აწყურელი, ამათ ფართოდ გაშალეს თავიანთი ნიჭი და ხელოვნური შესრულებით ბევრი აცინეს საზოგადოება. აგრეთვე კარგათ შეასრულა თავისი როლი მსახიობ ქალმა ელ რუისპირელმა.

დივერტისმენტები ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება პ. ჟორდანიამ გურული სცენების წაკითხვით. დასასრულ გაიმართა ცეკვა, მსურველთათვის ვაშში იყო გამართული. დაეწიყებულნი.

ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლში კვირას, იანვრის 14 დასდგეს „მელანიას ოინები“ პიესა ცოცხლად და მხატვრულად ჩაატარეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. გოცირიძე (პავლე მედროვე), ს. რომანიშვილი (არუწა), გ. ანაშვილი (გრიქუროვი გ. გელიკურაშვილი - პანკესა. კარგები იყვნენ თავდგირიძე - ქიტესა, ტანკვატაძე - ამაღლაძე, მეტრეველი ექიმი კაიშვილი. არა უშავდარა ქ-ნს რომანიშვილ-დეგბუაძის ს — მელანია, მაგრამ რომ ცდილიყო უკეთეს ტიპს შექმნიდა. ნეტავი ვიცოდენ როდის მოვლდება ბოლო ხალხის უთავბოლო დრინაცელს? ნე—ლი

სოფ. პაიჭეულში (გურია) მდებარეობს ხიდისთავის რაიონში, ხიდისთავზე-სამი ვერსის მოშორებით, მთავარიანია. ხალხი მოწყურებულია სწავლა-განათლებლას. არიან თვით-გაიგითარებული იუშები. გვაქს ერთ-კლასიანი სამინ. სკოლა. 1918 წელს, 1 იანვარს სკოლის დარბაზში გაიმართა კრება. კრებამ დაადგინა გახსნას ნ. ჟორანიას სახელობაზე წიგნთსაცავ - სამკითხლო, აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა: ანა და თეოფილე ლომთათიძეები, ეკა ლომთათიძისა, იასონ კალანდაძე, ხაზინადრად გ. ლომთათიძე, ვინაიდან სოფელი პატარაა [30 კომლი მოქალაქე] და საქმის დაწყება უხდება არაჩვეულებრივი სიძვირის დროს, ამიტომ გამგეობა მოუწოდებს თანამგრძობთ ნივთიერ დახმარებისათვის.

კვირას, იანვრის 7, აქაურმა ახალგაზრდა მარქსისტებმა აქ წარმოადგინეს 1 მოქ. ვოლ. „ორი მშვიტი“, შემდეგ დივერტისმენტი, ცეკვა - სიმღერა. იმდერეს „ვაი-ფუის“ ხმაზე სამადროვო კუბლეტები. წესიერება საუცხოვო იყო. შემოსავლის ნახევარი გადასდეს ადგილობრივ სამკითხველოსთვის, ნახევარი ახალგაზრდა მარქსისტთა წრის სასარგებლოდ. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა ვუსტოვებთ წინსვლას. გიორგი



საქართველოს თეატრი

ქართული უნივერსიტეტი გაიღო იანვრის 26-რეკტორად მიწვეულია პროფ. პ. მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულ. დეკანად ივ. ჯავახიშვილი. მათს ბიოგრაფიებს შემდეგ დავებუქდავთ.

სეიმი ამიერ-კავკასიისა შეიკრიბა იანვრის 22-თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე.

ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით თებერვლის პირველ რიცხვებში ქართ. კლუბში დაიდგმის ქართული ოპერა კომპ. რ. გოგინიაშვილისა „ქრისტინე“ ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით. ოპერის ლიბრეტო რუსულიდან სთარგმნა ვ. გუნდისა. თებერვლის მიწურულს კავშირი თავის სახსრის გასაძლიერებლად მართავს დიდ ეროვნულ საღამოს. გუნდის რეპეტიციები იმართება ქართ. კლუბის როტანდოში, რომელიც კლუბმა კავშირს დაუთმო გუნდის ხელმძღვანელათ მოწვეული არიან საუკეთესო ლობჯინი. კავშირის საზოგადო კრება ამ მოკლე ხანში გაიმართება.

საოპერო მსახიობის ინაშვილის ბენეფისმა ქართ კლუბში დიდის ამბით ჩაიარა. მსახიობმა მრავალი საჩუქარი მიიღო.

ცნობილი მსახიობი გ. არადელ-იშხნელი ამ სეზონში პირველად გამოდის ქართ კლუბის სცენაზე ონუფრის როლში (დღესასწაულები—სა)

ახალი თეატრი ქართული „პრომეთე“ იანვრის ნომერი გამოვიდა.

მსახიობთა კავშირი პირველი საღამო გაიმართა იანვრის 25 — დაესწრა დიდძალი საზოგადოება.

მსახიობი პ. ფრანგიშვილი სამხედრო სამსახურში გაწვეული ავადმყოფობის გამო სამის თვით სამსახურიდან დაითხოვეს სპარსეთიდან.

ხელოვნება სექციის კრება ყოველ პარასკევი იმართება. სექციას მოსდის სხვა რა სხვა პროექტები.

სართიქალში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ ქართულ ბატარეის თაოსნობით იანვრის 21 დაიდგა „არსენა“ კაბარეთი. წრე შეუდგა საკუთარი სათეატრო შენობის აგება-მოწყობას. ადგილობრივმა ახალგაზდობამ დაარსა სამკითხველო. შემოწირულება უნდა გაიგზავნოს სამკითხველოს გამგის სახელზე—სართიქალა (თბ. მზ.) თედო გურგენიძეს.

საბურთალოს თეატრში. კვირას იანვრის 28 დილის 10 დანიშნულია კოლა ლომთათიძის სახელობის ახალ შენ—საბურთალოს უფასო სამკითხველოს გახსნა. აგრეთვე თეატრის საზოგადოების კრება ახალ გამგეობის და სარევიზიო კომისიის ამოსარჩევით. საქმის მეთაურნი სთხივენ საზოგადოებას დაესწრონ კრებ

„თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოდ მივიდეთ:

- ს. ქანთარია 15 მ., ვ. თევდარიანი 2 მ., ვ. თაზიშვილი 3 მ.
- ნ. სისაურის 150 კ., თ. მჭედლიშვილის 5 მ. ს. ნატარაძის 3 მ.
- დ. შავშიშვილი 2 მ. რ. თუხარელი 2 მ. კ. პაპოვა 1 მ.
- გ. ქურთიშვილი 3 მ. გ. დათუაშვილი 2 მ. ვ. სამსონიშვილი 2 მ.
- ვ. ვაშაკიძე 2 მ. გ. სტეპანიანი 5 მ. ლ. ცხვედიანი 1 მ.
- ქრისტინე 5 მ.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

მემაკრესთაისსოვალსკოლძნებათაისსოვალსკარძნალო!

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის ერთად ერთ სათეატრო, სახელოვნო, სამხატვრო, ს. მუსიკო, სამწიგნობრო საზოგადოებრივ შინაარსის პროგრესულ - დემოკრატიულ უპარტიო სურათებიან იუმორისტულ განყოფ. ჟურნალზე



წლიწალი მთავრდა გამოცემისა 1918 გამოვა იმავე პროგრამით, როგორც გასულ ხუთი წლის განმავლობაში ცნობილ და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

შუჩნალი ღირს: წლიურად 15 მან. ნახევარ წლით 9 მ. რომლის გარდახდა ნაწილნაწილდაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 10 მ. აპრილის დამლევს 5 მ. დანარჩენიც მარიაშობის გასულს.

ხელის მოწერა შეიძლება თბილისში რედაქციაში ლექს ბაღის პირდაპირ, ძველ მეწიგნეთა რიგზე, ხაზინის თავში, ბაზრის ქუჩა სახლი არჯევანიძისა №20) ფოსტით: თიფლის რედ. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА,“ იოსიფუ იმედაშვილი

შენიშვნა: ჟურნალის გაწერვის მსურველთ ვთხოვთ დროით დაიკვეთონ, რომ მისამართების ბეჭდვა მოვასწროთ. ძველმა ხელის მოწერლებმა ძველი მისამართის ნომერი გვაცნობონ.

რედაქტორ გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

ქართული კლუბი

- 1 კვირის პროგრამა
- კვირა—საღამო წარმოდგენა.
- ორშაბათი—ოპერა. მუსიკა
- სამშაბათი—საოჯახო საღამო
- ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
- ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
- პარასკ.—ოპერა.
- შაბ.—საოჯახო საღამო
- კვირა რუსული—წარმოდგენა.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი